ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №5

ქ. წალენჯიხა **12 იანვარი 2023 წელი.**

ერთის მხრივ, ა.ა.ი.პ. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“ (შემდგომში„შემსყიდველი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, დირექტორის მამუკა ქარდავას სახით და მეორეს მხრივ, შპს „ეკოლოპრო“(შემდგომში „მიმწოდებელი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ნენე კიტია სახით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ გათვალისწინებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ 2024 წლის ბიუჯეტის სახსრებით, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან საბავშვო ბაღების აღსაზრდელებისათვის CPV1580000კოდით—პურისა და ფუნთუშას შესყიდვა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის“ 10-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2024წლის 11 იანვრის №123 განკარგულების (მომართვა SMP240000042) საფუძველზე, გადაუდებული აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია სხვადასხვა საკვები პროდუქტები: პური და ფუნთუშა.
2.2 შესყიდვის ობიექტი მოცემულია დანართ 1-ში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2785.00 (ორიათას შვიდას ოთხმოცდახუთი) ლარს.
3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება მიმწოდებელის მიერ განხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან 2024 წლის 01 თებერვლამდე.
5.2 ხელშეკრულების თანახმად შესყიდვის ობიექტის მიწოდების პუნქტად განსაზღვრულია 17 საბავშვო ბაღი.
5.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისთვის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტი).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
6.2 ხელშეკრულების ობიექტის მიღებას ახორციელებს შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები(ბაღის გამგე), რომლებიც შესყიდვის ობიექტის მიღების შედეგების მიხედვით აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს.
6.3 საბოლოო მიღება-ჩაბარება მოხდება წალენჯიხისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ოფისში, შემდეგ მისამართზე: წალენჯიხა გამსახურდიას ქ. №9.

7. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო აგარიშსწორებით, მიმწოდებლის ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით.
7.2 ანგარიშსწორებას შემსყიდველი განახორციელებს ფაქტობრივად მიღებული შესყიდვის ობიექტის რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისი ელექტრონული საგადასახადო ზედნადებისა (ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტი) და მიღება-ჩაბარების აქტის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 შემსყიდველი ვალდებულია:
8.1.1 უზრუნველყოს მისთვის გადაცემული შესყიდვის ობიექტის შესაბამისი ანაზღაურების გადახდა მიმწოდებლისათვის წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით;
8.2 შემსყიდველი უფლებამოსილია:
8.2.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება;
8.3 მიმწოდებელი ვალდებულია:
8.3.1 ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და ღირებულებით მიაწოდოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი;
8.3.2 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველს წარუდგინოს შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები;
8.3.3 საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი შესყიდვის ობიექტის მდგომარეობასთან დაკავშირებული ყველა ნაკლის აღმოფხვრა;
8.3.4 შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესახებ შესაბამისი პირველადი დოკუმენტაციის ასლები და ანგარიში, რომლის შემდეგაც ფორმდება დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტით;
8.3.5 დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ;
8.3.6 ხელშეკრულების შესრულების პერიოდში სუბკონტრაქტების აყვანის აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს შემსყიდველს შესაბამისი თანხმობის მისაღებად.
8.3.7 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტორის ასლი წარედგინოს შემსყიდველს.
8.3.8 ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბქონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
8.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია:
8.4.1 შემსყიდველისგან მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

10.2 ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი სპეციალური ინსპექტირების ჯგუფი, შემდეგი შემადგენლობით: დალი აბულაძე, ეთერ გულუა, ფატი კვარაცხელია, ნინო ქანთარია, პაატა კალანდია, სალომე კვარაცხელია.

10.3 ინსპექტირება განხორციელდება წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.

10.4 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების, აგრეთვე მიღებული შესყიდვის ობიექტის ხარისხის, რაოდენობის და მიწოდების ვადების კონტროლი.

10.5 მიმწოდებელი ვალდებულია შესყიდვის ობიექტის მიწოდების განხორციელების დროს ინსპექტირების ჯგუფს შემოწმების პროცეში აღმოუჩინოს ხელშეწყობა, არ შეუქმნას ხელიშემშლელი პირობები და წარუდგინოს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების
პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. შეტყობინება

12.1 ნებისმიერი შეტყობინება, მხარის მიერ ხელშეკრულების შესაბამისად, გაეგზავნება მეორე მხარეს წერილობითი სახით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.

12.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შეუსრულებლობის საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე კი ასევე დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

13.2 იმ შემთხვევაში თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანმხდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულება გამოიწვევს მის პასუხისმგებლობას, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

14.2. მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში, თუ სხვა ვადებს მხარეები არ შეათანხმებენ წერილობით, ყოველი დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

14.3. იმ შეთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს გადახდა.

14.4. შესყიდვის ობიექტის მიწოდებისას დეფექტების გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია ნაკლოვანების აღმოჩენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში მიიღოს საჭირო ზომები ხარვეზის გამოსასწორებლად, ხოლო აღნიშნულის შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება და მოითხოვოს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია გადაუხადოს შემსყიდველს ჯარიმა, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

14.5. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი განახორციელებს შესყიდვის ობიექტის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შეუსაბამოდ, რის გამოც შემსყიდველს მიადგება ზიანი, მიმწოდებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს შემსყიდველს აღნიშნული ზიანი, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

14.6. საჯარიმო სანქციების გადახდა უნდა მოხდეს შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

14.7. შემსყიდველი უფლებას იტოვებს მოახდინოს პირგასამტეხლოს გამოქვითვა მიმწოდებლისათვის ასანაზღაურებელი თანხიდან ან სახელშეკრულებო ღირებულებიდან დაუკავოს თანხა, გადასახდელი პირგასამტეხლოს ორმაგ ოდენობამდე, დაკისრებული ჯარიმის სრულდაფარვამდე.

14.8. წინამდებარე ხელშეკრულების მოცემული პუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

14.9. პასუხისმგებლობის სხვა ფორმები, რაც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებაში, განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

15. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

15.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

15.1.1. თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს სამუშაო ან მისი ნაწილი;

15.1.2. თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება;

15.1.3. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

15.1.4. მიმწოდებლის გადახდის უუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში;

15.1.5. თუ მიმწოდებლის მიერ გადასახდელი პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს;

15.1.6. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15.2. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 5 (ხუთი) დღით ადრე მაინც, ამასთან უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი. 14.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

16. ფორს-მაჟორი

16.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

16.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
16.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

17. დავების გადაწყვეტის წესი

17.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
17.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

18. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა.

18.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე. ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება
18.2 ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
18.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
18.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.
18.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

19. დასკვნითი დებულებანი

19.1 მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გარღმავების სურვილით.
19.2 ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.
19.3 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
19.4 ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება, მეორე მხარის მიერ
ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების შესახებ და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდება შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.
19.5 ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმების წერილობითი გაფორმების შედეგად.
19.6 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2024 წლის 03 მარტამდე.
19.7 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად, 1 (ერთი) ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს.

20. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი“
ა.ა.ი.პ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
სკოლამდელ სააღმზრდელო-საგანმანათლებლო
დაწესებულებათა მართვის ცენტრი”
საიდენტიფიკაციო კოდი 242741477
მისამართი: გამსახურდიას ქუჩა №9
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ა.ა.ი.პ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
სკოლამდელ სააღმზრდელო-საგანმანათლებლო
დაწესებულებათა მართვის ცენტრი”ს
დირექტორი: მამუკა ქარდავა

Mamuka Kardava 01027000910
Digitally signed by Mamuka Kardava
Date: 2024.01.12 12:28:45

„მ ი მ წ ო დ ებ ე ლ ი“
შპს „ეკოლოპრო“
საიდენტიფიკაციო კოდი 442728283

მისამართი: წალენჯიხა, ჯვარი ლემონჯავას #8
ბანკი: ს.ს. „ბაზის ბანკი“
ბანკის კოდი CBASGE22
ანგ. № GE05BS0000000005636646

დირექტორი: ნენე კიტია

Nene Kitia 51001006398
Digitally signed by Nene Kitia
Date: 2024.01.12 15:38:09

დ ა ნ ა რ თ ი №1

№	საქონლის დასახელება	აღწერილობა	განზომილება	რაოდენობა	მიწოდების გრაფიკი
1	პური	ახალი, ქარხნული წარმოების, დამზადებული უმაღლესი ხარისხის ხორბლის ფქვილისგან, კარგად გამომშრალი გულით, არ შეიცავს ორგანიზმისთვის საშიშ და აკრძალულ საკვებ დანამატებს, ტრანსპორტირებისას დაცული იქნება სანიტარულ– ჰიგიენური პირობები	კილოგრამი	400	ყოველდღე ადგილზე მიტანით
2	ფუნთუშა	ფუნთუშის გამოცხობისას დაცულია ტექნოლოგიური პროცესი და ყველა სხვა არსებული ნორმა. დამზადებული იქნება უმაღლესი ხარისხის ხორბლის ფქვილისგან, კარგად გამომშრალი გულით, არ შეიცავს ორგანიზმისთვის საშიშ და აკრძალულ საკვებ დანამატებს, ტრანსპორტირებისას დაცული იქნება სანიტარულ– ჰიგიენური პირობები	კილოგრამი	90	კვირაში ორჯერ ადგილზე მიტანით

პროდუქტი უნდა იყოს ახალი, უმაღლესი ხარისხის. არ უნდა შეიცავდეს ორგანიზმისათვის საშიშ ქიმიურ ელემენტებს და გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებს.

–სურსათის უვნებლობა, ეტიკეტირება, შეფუთვა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს.

შესყიდვის მოცემული რაოდენობა არის ზღვრული, რომელიც შეიძლება შემცირდეს ფაქტიურად სკოლამდელი აღზრდის ცენტრში შემავალ საბავშვო ბაღებში ბავშვთა გამოცხადების საფუძველზე.

დ ა ნ ა რ თ ი N2

ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრში შემავალი საბავშვო ბაღების მისამართები

	დაწესებულების დასახელება	მისამართი	
1	ლიის N1 საბავშვო ბაღი	ლიის ადმინისტრაციული ერთეული	
2	ლიის N2 პალურის საბავშვო ბაღი	ლიის ადმინისტრაციული ერთეული	
3	ლიის N3 ზედალიის საბავშვო ბაღი	ლიის ადმინისტრაციული ერთეული	
4	ფახულანის N1 საბავშვო ბაღი	ფახულანის ადმინისტრაციული ერთეული	
5	ფახულანის N2 ჭველეს საბავშვო ბაღი	ფახულანის ადმინისტრაციული ერთეული	
6	ფახულანის N3 წყოუშის საბავშვო ბაღი	ფახულანის ადმინისტრაციული ერთეული	
7	ჯვარის N1 საბავშვო ბაღი	ჯვარი საჯაიას ქN12	
8	ჯვარის N2 საბავშვო ბაღი	ჯვარი ქანთარიას ქ.N11	
9	ჯვარის N3 საბავშვო ბაღი	ჯვარი ანდრია პირველწოდებულის ქ.N1	
10	ჯვარის N4 ცხუმის საბავშვო ბაღი	ჯვარი სარალიძის ქ.	
11	ჯვარის N5 ოჭანეს საბავშვო ბაღი	ჯვარი ოჭანეს უბანი	
12	ჩქვალერის N1 საბავშვო ბაღი	ჩქვალერის ადმინისტრაციული ერთეული	
13	ჩქვალერის N2 საბავშვო ბაღი	ჩქვალერის ადმინისტრაციული ერთეული	
14	ჭალეს N1 საბავშვო ბაღი	ჭალეს ადმინისტრაციული ერთეული	
15	ჭალეს N2 ეწერფერდის საბავშვო ბაღი	ჭალეს ადმინისტრაციული ერთეული	
16	ჭალეს N3 ფოცხოს საბავშვო ბაღი	ჭალეს ადმინისტრაციული ერთეული	
17	მუჟავას საბავშვო ბაღი	მუჟავას ადმინისტრაციული ერთეული	